ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(2) **1.** მოსწავლემ დაწერა: *ხმელი წიფლის ახლო-მახლო მონადირეებს ვეფხვის ნაკვალევი უნახავთ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **2.** მოსწავლემ დაწერა: *მომავალი მწერალი სტოვებს სამშობლოს და განათლების მისაღებად უცხოეთში მიემგზავრება.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *დაღლილი ბავშვები დიდი მუხის ქვეშ ჩამოჯდნენ დასასვენებლად.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *სკოლის დერეფანში ბავშვებს თავისი ნამუშევრები გამოეფინათ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *წაიღო ხიდი ადიდებულმა მდინარემ, რომელიც ახლახან შევაკეთეთ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *ტყეში ბავშვებმა ნახეს ბევრი საინტერესო რამ მეხისაგან ჩაჩეხილი იფანი, მგლის ნაკვალევი, დიდი შავი კოდალა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(11) **7.** წაიკითხეთ ნაწყვეტი მერაბ მამარდაშვილის ინტერვიუდან:

[ქართველები] ძალიან ცოცხლები ვართ, მოძრავნი, ინიციატივიანები, იუმორის გრძნობაც გვაქვს, შესანიშნავად ავითვისეთ საბჭოთა ეკონომიკური სისტემა და ამის შედეგად დავკარგეთ ბევრი რამ, რაც ტრადიციულად მოგვდგამდა. ჩვენ, ქართველები, აშკარად ვდგავართ საფრთხის წინაშე. ბევრი რამ, რაც მოუცილებელი ნიშანი იყო ქართველის ტრადიციული ხატისა, რომელიც ყოველ ჩვენგანს სულში უზის, გაქრა ან გადაგვარდა. როგორ მოხდა ეს? ჩვენ გადავირჩინეთ თავი, მოვირგეთ საბჭოთა სისტემა და ისე არ გავღატაკებულვართ, როგორც რუსეთის სოფელი, უფრო კარგად ვცხოვრობდით, ვიდრე სხვები, მაგრამ ყველაფერ ამას თავისი ფასი ადევს.

(2) **I.** ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(3) **II.** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს.

(2) **III.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი მერაბ მამარდაშვილის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(3) **IV.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **8.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. შეაფასეთ ნამუშევარი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაწერეთ შესაბამისი ქულები. თქვენი შეფასება დაასაბუთეთ შემდეგნაირად: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყველა შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, პუნქტუაციურს, სინტაქსურსა თუ სტილისტიკურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტიკური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

ტექნოლოგიური საშუალებებით გადატვირთული გარემო ზღუდავს ადამიანის წარმოსახვას, უკარგავს მას ძიებისა და ახლის აღმოჩენის სურვილს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

დღეს-დღეობით ჩვენ თვალწინ იქმნება ისეთი ტექნოლოგიური საშუალებები, რომელთა წარმოდგენაც კი აქამდე შეუძლებელი იყო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ამით განვითარდებით. ეს ერთ-ერთია იმ უამრავ საშუალებას შორის, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის განვითარებას. ასე რომ, მე ვეთანხმები გამოთქმულ მოსაზრებას.

როდესაც შენით შრომობ, წიგნებში ეძებ ინფორმაციას, შენი გონება უფრო სხარტი ხდება, მაგრამ როდესაც ინტერნეტში აკრიფავ სასურველ თემას, მაშინვე გამზადებული მასალა გხვდება. ამის შედეგად ჩვენი წარმოსახვა და ახალის აღმოჩენის სურვილი ქვეითდება; ხდება ადამიანის მიერ ყველაფრის დაზარება და საკუთარ თავში ჩაკეტვა.

რა უარყოფით შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ტექნოლოგიის ზედმეტმა მოხმარებამ კარგად ჩანს ფილმში „ის“. შექმნილია რობოტი, რომელიც კონტაქტს ამყარებს ყველა მარტო მყოფ ადამიანებთან. ფილმის გმირი ამ რობოტს ეთაყვანება, სხვა აღარავინ ახსოვს და შედეგიც სახეზეა მისი გონება იწყებს დაქვეითებას.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, დადებითი მხარეც აქვს ტექნოლოგიის გამოყენებას. ამის მაგალითია ეტლი, რომლითაც ხეიბარი ადამიანი გადაადგილდება. შესაბამისად რაც უფრო მეტი ასეთი ტექნოლოგია იქნება, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის ცხოვრება უფრო კომფორტული გახდება.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ ტექნოლოგიური საშუალებებით გადატვირთული გარემო, ზღუდავს ადამიანის წარმოსახვას. როდესაც ადამიანი საკუთარ ძალებით ცდილობს სასურველის მიღწევას, უკეთეს შედეგს იღებს. უნდა ეცადო იარო წინ, გამოკვებო შენი გონება და იყო სულ ძიებაში.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **9. იაკობ ხუცესის ტექსტის განხილვის დროს მოსწავლემ იკითხა, თუ როგორ უნდა გავიგოთ სპარსეთის მეფის კარზე მყოფი ვარსქენის შესახებ ნათქვამი ფრაზა:** *„...რომელ-იგი არა აქუნდა ხელთა შუშანიკისგან“?*

რომელია სწორი პასუხი?

ა) ვარსქენი შუშანიკის მეუღლეობაზე უარს აცხადებდა.

ბ) ვარსქენი შუშანიკის ნებას ძალდატანებით დათრგუნავდა.

გ) ვარსქენს სპარსეთში შუშანიკი არ ახლდა.

დ) ვარსქენს შუშანიკის თანხმობა არ ჰქონდა.

(1) **10. იოანე საბანისძის თხზულების შესწავლისას მოსწავლემ გაიხსენა მსაჯულის მიერ აბოსთვის ნათქვამი სიტყვები:** *„მე უფროისღა ნიჭი... მიგცე შენ“* **და დასვა შეკითხვა**: *„როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს მისცეს ნიჭი, რომელიც პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარია“?*

რომელი მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლის საპასუხოდ?

ა) ნიჭი აქ რწმენის სინონიმია და ამ სიტყვებით მსაჯული აბოს ჰპირდება, რომ მონანიების შემთხვევაში მას მამაპაპეული რწმენის ღალატი მიეტევება.

ბ) ნიჭი აქ საბოძვარს, მატერიალურ სარგებელს ნიშნავს და მსაჯული ამ სიტყვებით აბოს გამდიდრებას ჰპირდება.

გ) ნიჭი აქ ზნეობის სინონიმია და ამ სიტყვებით მსაჯული აბოს ეუბნება, რომ, თუ დანაშაულს აღიარებს, პატიოსანი კაცის სახელს დაიბრუნებს.

დ) ნიჭი აქ ხელობას ნიშნავს და ამ სიტყვებით მსაჯული აბოს ეუბნება, რომ მენელსაცხებლობის უფლებას დაუბრუნებს.

(1) **11. რა იყო გრიგოლ ხანძთელის მთავარი არგუმენტი, როცა მან ჯავახეთის კრებაზე ეფრემის საწინააღმდეგოდ არსენს დაუჭირა მხარი?**

ა) არსენის კათალიკოსად კურთხევა ეკლესიის შელახულ ავტორიტეტს აღადგენდა.

ბ) არსენის კათალიკოსად კურთხევით ღვთის ნება აღსრულდებოდა.

გ) ეფრემის გამოცდილება კათალიკოსობისათვის საკმარისი არ იქნებოდა.

დ) საკათალიკოსო ტახტზე ეფრემის ასვლა ქვეყანაში შუღლს გააღვივებდა.

(1) **12. ავთანდილი თავის ანდერძში წერს:** *„მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.*

ავთანდილის აზრით, რა არის ცოდნის შეძენის მთავარი მიზანი?

ა) ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს, გაერკვეს მატერიალური სამყაროს კანონზომიერებებში.

ბ) ცოდნა ადამიანს ეხმარება ზნეობრივ სრულქმნაში, რათა იგი ზეციურ წესრიგს შეერწყას.

გ) ცოდნის მეშვეობით ადამიანს საკუთარი წვლილი შეაქვს კაცობრიობის ჰარმონიულ განვითარებაში.

დ) ცოდნის მეშვეობით თვით ცოდვილ და ურწმუნო ადამიანებსაც კი ეღირსებათ სასუფეველი.

(1) **13. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი შეიძლებოდა ჰქონოდა ტარიელს, როცა ამბობდა:** *„ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე“?*

რომელი პასუხი გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) ტარიელი ამირბარი იყო და შეეძლო სამხედრო წრეებზე დაყრდნობით ინდოეთის ტახტზე ჯდომის უფლება ისედაც ადვილად მოეპოვებინა.

ბ) ტარიელი ინდოეთის ერთ-ერთი სამეფოს მფლობელის კანონიერი მემკვიდრე იყო და, ვინაიდან ფარსადანს ძე არ რჩებოდა, ინდოეთის ტახტი მას ეკუთვნოდა.

გ) ტარიელი ინდოეთის მეფის გაზრდილი იყო და, ვინაიდან შეუდარებელი ვაჟკაცის სახელიც ჰქონდა, ტახტზე სწორედ ის უნდა ასულიყო.

დ) ტარიელი ფარსადანის ასულს, ნესტანს, უყვარდა და, შესაბამისად, ინდოეთის სამეფო ტახტს ნესტანთან ერთად ტარიელიც უნდა დაუფლებოდა.

(1) **14. „დავითიანის“ რომელ სტრიქონში იკვეთება ქართველთა თავს დატეხილი უბედურების ძირითადი მიზეზი?**

ა) „გულ-მანკიერად შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი“.

ბ) „ზოგიერთს ვისმე შეუხდა ეშმაკის მანქანებანი“.

გ) „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა“.

დ) „შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა“.

(1) **15. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** რით აიხსნება ის ფაქტი, რომ „პასუხის პასუხში“ ილია მწვავედ აკრიტიკებს გრიგოლ ორბელიანს, ხოლო „მგზავრის წერილებში“ მისი ლექსიდან ციტატები მოჰყავს და „ჩვენს პოეტს“ უწოდებს?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ილია გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტს, დიდ პატივს სცემდა, თუმც არ მოსწონდა, რომ იგი კავკასიელთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდა.

ბ) ილია გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტს, დიდ პატივს სცემდა, თუმც მის კონსერვატორულ შეხედულებებს პირუთვნელად აკრიტიკებდა.

გ) ილია გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტს, პატივს სცემდა, მაგრამ იმის გამო აკრიტიკებდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ჯეროვნად ვერ უპატრონა.

დ) ილია გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტს, პატივს სცემდა მანამ, სანამ მათ შორის ლიტერატურულ ასპარეზზე პირველობისათვის ბრძოლა დაიწყებოდა.

(1) **16. ალექსანდრე ყაზბეგის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია:**

ა) „ელგუჯა“.

ბ) „მამის მკვლელი“.

გ) „ნამწყემსარის მოგონებანი“.

დ) „ხევისბერი გოჩა“.

(1) **17. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ სწავლების დროს რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ ჯოყოლას იმ მოქმედების გასაანალიზებლად, როცა ის ზვიადაურის გამო თემს უპირისპირდება?**

ა) თემის წევრები, რომლებიც შურისძიებამ მოძალადედ აქცია, ჯოყოლას იმის შესრულებას სთხოვენ, რასაც ათასწლოვანი ადათობრივი სამართალი საერთოდ არ ითვალისწინებს.

ბ) თვით თემი შეიცავს ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ, გარკვეულ შემთხვევებში ერთიმეორესთან შეუთანხმებელ ტრადიცია-ადათებს, რის გამოც აღმოჩნდა ჯოყოლა ტრაგიკულ მდგომარეობაში.

გ) „სტუმარ-მასპინძელში“ განსახიერებული სიტუაცია თემისა და პიროვნების დაპირისპირების აშკარა მაგალითია: ჯოყოლამ უღალატა თემს, როცა ქისტების მოსისხლე მტერს უმასპინძლა.

დ) ჯოყოლას ტრაგედიის მიზეზი ის გახდა, რომ თემში არსებული ტრადიციები ვაჟკაცის პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობისა განსხვავებული სარწმუნოების ადამიანზე არ ვრცელდებოდა.

(1) **18. დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლის შემდეგ მოსწავლემ დაწერა:** „კლდიაშვილის პერსონაჟების უმეტესობა უზნეო ადამიანია, რომელთაც გამორჩენის მიზნით ყველაფრის კადრება შეუძლიათ“.

რომელ მოსაზრებას გააცნობთ მოსწავლეს, რომ მწერლის ჩანაფიქრს უფრო ღრმად ჩასწვდეს?

ა) დავით კლდიაშვილი მხოლოდ ერთი კონკრეტული წოდების მანკიერებებს ამხელს, ხოლო სხვა პერსონაჟების მიმართ მკითხველებს დიდი სიმპათიით განაწყობს.

ბ) დავით კლდიაშვილის პერსონაჟები ღირსეული ადამიანები არიან და, თუ რამეს ისე ვერ აკეთებენ, როგორც საჭიროა, ამით მხოლოდ საკუთარ თავს აზარალებენ.

გ) დავით კლდიაშვილის პერსონაჟების ქმედებას უფრო ახალი ცხოვრებით გამოწვეული უმწეობა და სასოწარკვეთილება განაპირობებს, ვიდრე უზნეობა.

დ) დავით კლდიაშვილმა პირველმა ამხილა გადაგვარებულ აზნაურთა ცხოვრების წესი, რომელიც სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებებში შელამაზებული იყო.

(1) **19. ლეო ქიაჩელის მოთხრობაში „ჰაკი აძბა“ რა მხატვრული ფუნქცია აკისრია უჯუშ ემხას სიზმარს?**

ა) მთავარი პერსონაჟის გარდაუვალი დაღუპვის მიმანიშნებელია.

ბ) მთავარი პერსონაჟის საბოლოო გამარჯვების მომასწავებელია.

გ) მთავარი პერსონაჟის საბრძოლო განწყობის გამომხატველია.

დ) მთავარი პერსონაჟის სულიერი კათარზისის მაუწყებელია.

(1) **20. როგორი ნაწარმოებია პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“?**

ა) იუმორისტული.
ბ) პათეტიკური.
გ) სატირული.
დ) ტრაგიკული.

(1) **21. პაოლო იაშვილის ლექსის „წერილი დედას“ სწავლებისას რომელ მოსაზრებას განავრცობთ, რომ მოსწავლეებს ავტორის მთავარი სათქმელის ამოცნობაში დაეხმაროთ?**

ა) ეს ლექსი დამნაშავეთა სამყაროს სისასტიკის მხილებაა.

ბ) ეს ლექსი სერგეი ესენინის ერთ-ერთი ნაწარმოების ალუზიაა.

გ) ეს ლექსი ქალაქური ცხოვრების უპირატესობის ჩვენებაა.

დ) ეს ლექსი ქართული სოფლის იდილიურ ყოფასთან გამოთხოვებაა.

(1) **22. რომელ მოსაზრებას განავრცობთ გიორგი ლეონიძის ენისა და სტილის სწავლების დროს?**

ა) ნიუანსებისა და მინიშნებების რთული, მელოდიური ენის დამკვიდრებით პოეტი დღემდე XX საუკუნის ქართული ლექსის რეფორმატორად არის მიჩნეული.

ბ) რთული სინტაქსური კონსტრუქციები და არქაული ლექსიკა ორგანულად უკავშირდება ავტორის ისტორიულ რომანებში გადმოცემულ სულისკვეთებას.

გ) ურბანული გარემოსთვის დამახასიათებელი ჟარგონული მეტყველება მწერლის პერსონაჟების შინაგანი ბუნების გამოხატვის უმთავრესი მახასიათებელია.

დ) ხალხური მეტყველება და მწერლის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმები მის შემოქმედებას ეროვნულ კოლორიტსა და განსაკუთრებულ ჟღერადობას ანიჭებს.

(1) **23. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** რა ფუნქცია აკისრია ხელმძღვანელს ამ ნაწარმოებში?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ხელმძღვანელი განზოგადებული სახეა ამბიციური ახალგაზრდა შემოქმედისა.

ბ) ხელმძღვანელი განზოგადებული სახეა მებრძოლი ქართველი ინტელიგენტისა.

გ) ხელმძღვანელი განზოგადებული სახეა პროგრესული საბჭოთა მეცნიერისა.

დ) ხელმძღვანელი განზოგადებული სახეა იდეოლოგიზებული საბჭოთა მკვლევრისა.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ლავრენტი არდაზიანის რომანიდან „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“:

მშრალი პურის გარდა სხვა საჭმელი, და ნამეტნავად ღვინო არ მიყიდნია, არცა დამიხარჯია ფული სანთელზე, საპონზე, აბანოზე, წყალზე, შეშაზე და ნახშირზე, არცა ტანისამოსზე... ფულს ვინახავდი ტახტის ქვეშ, თხრილი რო იყო, რომ არავის მიეგნო... ძილი და მოსვენება არა მქონდა. ჩემი გონება იყო გართული ფულებით, ჩემი გული გრძნობდა მხოლოდ ფულების სიყვარულსა... დაღალულობას, შიმშილსა, სიცივესა და სიცხესა ხომ სრულებით არა ვგრძნობდი. უსიამოვნობას ვგრძნობდი მაშინ მხოლოდ, როდესაც ტყუილი უნდა მეთქვა, ტყუილად უნდა დამეფიცა. მაგრამ ამასაც შევეჩვიე. ასე რომ, ხელის ხელსახოცად გავიხადე ტყუილი ფიცი, რადგან შეუძლებელი იყო უამისოდ მომეგო გროში...

ერთხელაც კარები ჩავკეტე, სანთელი ავანთე (უსარკმლო ქოხში ბნელოდა), ტახტი მოვწიე, ხურჯინით ამოვზიდე ფული. გადავთვალე ათასი, ათი ათასი, ოცი ათასი, ორმოცი ათასი, სამოცი ათასი, ოთხმოცი ათასი თუმანი!.. კინაღამ სიხარულისაგან და განკვირვებისაგან გული შემიღონდა და ჭკუაზე გადვირიე. წყლით მოვიბრუნე გული, სანთელი გავაქრე, წყნარ-წყნარა კარი გავაღე და გამოველ გარედ, რომ ჩემი გონება დამშვიდებულიყო... გონება და გული რომ დავიმშვიდე, ისევ შევედი შინ, სანთელი ავანთე, ღმერთს თაყვანისცემით მადლობა შევსწირე, ტკბილად დავკოცნე ფულები (ასე გასინჯეთ, სიხარულის ცრემლებიც კი გადმომცვივდა)... მაშინ წარმომიდგნენ ჩემი საცოდავი ცოლი და შვილები, რომელნიც მე დავსაჯე და რომელთაც მოვათმენინე მრავალ წელს საშინელი და ენით აუწერელი სიღარიბე, სიშიშვლე, სიმშილი, სიცივე და სიბნელე, მოვაკელი სიამოვნება, განცხრომა, მშვიდობა და ნამეტნავად აღზრდა...

შეიქმნა სადილობა... პირველად შემოვიდა ჩემი ქალი, თექვსმეტი წლის თამარ, რომელიცა მეზობლისას სწავლობდა ხელსაქმესა და წერა-კითხვასა. მანამდისინ არ დამინახავს, რომ იმას ეცო გახუნებული, მოკლე ჩითის კაბა, ჭუჭყიანი მიტკლის

პერანგი და ქუსლებ-დაყრევინებული ქოშები შიშველა ფეხებზე... შემოვიდა ჩემი ვაჟი ისაკ... მჭმუნვარე და მოწყენილი.

– მამილო-ჯან! დღეს ათი ყუთი სპიჩკა გავყიდე... პატარა ბიჭებს გავაყიდვინე, როგორც მარიგებდი.

– კარგი, შვილო! ამას იქით შენ აღარ გაჰყიდი სპიჩკასა, სულ სხვა კაცი, ჩინოვნიკი დადგები. გული გაიმხიარულე...

მოვიდა ჩემი მეუღლეცა. აქ არ ავწერ იმისს ტანისამოსსა... მაშინვე შევატყე, რომ ჩემი სოფიკო მოგებით უნდა მოსულიყო, ამიტომ რომ წმინდა საპნით სავსე პარკი წაიღო გასასყიდავად, დილით ადრე, და ცარიელი პარკი-ღა მოიტანა...

სოლოლაკზე მე ვიყიდე დიდი ორეტაჟიანი სახლი, რომელიც საუცხოვოდ მოვაწყე და მოვრთე... ყოველივე, რაც იპოვებოდა ჩვენს სახლში, იყო ჩინებული და იშვიათი, მაგრამ მე მოვრთე სახლი არა ჩემის გემოვნებით, არამედ მიხედულობით და იმ აზრით, რომ სხვაზე უფრო მდიდრულად მქონებოდა სახლი მორთული...

სწორე უნდა მოგახსენოთ, მე თეატრი სრულიად არ მეპიტნავებოდა, რადგანაც არა გამეგებოდა-რა არც იტალიურ ოპერებისა და არცა მუზიკისა, მე მხოლოდ დავიარებოდი თეატრში გასაცილებლად და პატრონად ჩემის ცოლ-შვილისა, რომელთაც გაგიჟებით შეიყვარეს თეატრი... ჩემ ცოლ-შვილსა რა მიიზიდავდა თეატრში? დაგარწმუნებთ, რომ სხვა არა-რა მიიზიდავდა, გარდა უგუნური ამპარტავნობისა. იმათ ერთი მხოლოდ აზრი ჰქონდათ: სჩვენებოდნენ საზოგადოებასა, რომ „ჩვენც აქა ვართო“... გამიგონია, თეატრი დიდი სასწავლებელი, თურმე, არის: ყოველს პიესაში წარმოადგენენ, თურმე, კაცის რომელიმე შეცთომილებასა და ნაკლებობასა, კეთილსა და ბოროტ მხარესა, აქ უნდა გული და გონება ადევნოს მაყურებელმა და გაიგოს აზრი და მიზეზი მოქმედებისა... ახლა ვიფიქროთ ჩვენთვის, რაღა ხელი მაქვს მე თეატრში, თუ არარას დავინახავ, არ გავიგებ, არ გავიგონებ და არ ვისწავლი!..

ჩვენ გვეჭირა ლოჟა მახლობლად სამეფო ლოჟისა. ჩემი თამარი სხვაზე გადამეტებულად იყო მორთული. ბრილიანტის ქინძისთავები ებნია ოქრომკედით ნაკერს ალისფერ ხავერდზე, თავსაკრავში. ყურები, ყელი, გული და მაჯები მოეკაზმა ძვირფასი ბრილიანტის საყურეებითა, ქინძისთავებითა, ოქროს მინანქრიანი საათითა და მარგალიტის ძეწკვითა. ორივე ხელის თითებზე აესხა მრავალი ბრილიანტისა და ფირუზის ბეჭდები... იჯდა შეუძრავად, გაშეშებული, მხოლოდ ხანდახან ხელებით

გაისწორებდა ხოლმე კავებსა განგებ, მგონია, რომ დაენახათ იმის ბრილიანტები.

იმ ღამეს თამაშობდნენ „ნორმა“-სა... პირველ მოქმედებაში ერთს აქტრისას და ორს, მგონია, აქტიორს საზოგადოებამ ტაშის კვრით მოუწონა მღერა. მერე კიდევ აქტრისამ დაიწყო მღერა. მთელი საზოგადოება გაჩუმდა და დაუწყო ჭვრეტა საკუთრად აქტრისასა... ეს ღრმა სიჩუმე მივიღე ნიშნად იმისა, რომ აქტრისა იმღერიდა სამაგალითოდ კარგა, და, რადგანაც მე იქამდე ტაში არ დამეკრა არავისთვის, უცებ - იმ დროს, როდესაც ყველას ყური უნდა დაეგდო - ავტეხე ტაშისკვრა და თან ხმა-მაღლა შევღრიალე: ბრავო! ბრავო! ბრავო! ბრავო! ბისსს!..

ჯერ ისევ ვაბარტყუნებდი ხელებითა და ვღრიალებდი, რომ მთელმა საზოგადოებამ აქტრისას თავი დაანება, შემომხედა მე და მაჩუმებდა, ყველა მიბრძანებდა: „სუო“... არ შემიძლიან ავწერო, რაც მე იმ საათს დამემართა! მომივიდა სირცხვილის ღიმილი, თავ-პირი ამენთო, ოფლში გავიწურე, თავბრუ დამესხა, კინაღამ დავეცი. ის ღამე და საათი ჯერაც არ დამვიწყებია... პირველი მოქმედება გათავდა. ამომეჭრა ჩემი ისაკ, რომელმაც გულმოსულმა მამხილა უადგილო ტაშისკვრა... მე რაღა სევდის გაცხოველება მეჭირებოდა!..

ძმაო და ნათლიმამ ოჰანეზ!.. შენის თხოვნით ავსწერე ჩემი ცხოვრება და შენ გიძღვნი ამ ქმნილებას... მართალია, ბოლომდის მე ვიყავ სავსე მდიდარი, პატივცემული, მხიარულად ვეჩვენებოდი ხალხს და მრავალნი დამნატროდნენ, მაგრამ იმ დღიდან, როდესაც დავიწყე დიდებით ცხოვრება, ჩემს გულს ჰქენჯნიდა რაღაცა განუსაზღვრელი ჭმუნვა და მე აღარ მესიამოვნებოდა-რა ქვეყანაზე. ამ ჭმუნვის მიზეზი იყო ჩემში, ჩემს გარეთ არა ყოფილა. ამ ჩემს აღსარებას განდობ შენ.

შენი სოლომონ მ ე ჯ ღ ა ნ უ ა შ ვ ი ლ ი

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!